



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 240

ქალაქი ქუთაისი 24 თებერვალი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, ლერმონტოვის ქუჩის №11/13-ში არსებული
საცხოვრებელი სახლის ფასადზე, ცნობილი პოეტის,
კოლაუ ნადირაძის მემორიალური დაფის განთავსების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივების დროებითი საქალაქო კომისიის 2016 წლის 5 თებერვლის სხდომის №60 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. განთავსდეს ქალაქ ქუთაისში, ლერმონტოვის ქუჩის №11/13-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ფასადზე, ცნობილი პოეტის, კოლაუ ნადირაძის მემორიალური დაფა წარწერით: „ამ სახლში 1895 წელს დაიბადა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი პოეტი, ცისფერყანწელთა უკანასკნელი მოჰიკანი, კოლაუ (ნიკოლოზ) ნადირაძე“.

მუხლი 2. მემორიალური დაფის განთავსებისათვის საჭირო თანხები გამოიყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია